



საქართველოს პრეზიდენტი

საქართველოს პარლამენტს

საქართველოს კონსტიტუციის 46-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, წარმოგიდგენთ საქართველოს პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებს საქართველოს პარლამენტის მიერ 2024 წლის 19 აპრილს მიღებულ „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონზე.

წარმოდგენილი ცვლილებებით საგადასახადო შეღავათები წესდება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორი) რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე (მათ შორის, წილზე/აქციაზე) საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსათვის გადაცემის ოპერაციებზე, რომლებიც 2028 წლის პირველ იანვრამდე განხორციელდება. კანონის თანახმად, შესაბამისი ოპერაციები გათავისუფლდება მოგების/საშემოსავლო გადასახადისაგან. ასევე, აქტივის/საქონლის საქართველოში შემოტანა/იმპორტი გათავისუფლდება იმპორტის გადასახდელისაგან, ამასთან, საქართველოს საწარმო ამ ოპერაციის ფარგლებში მიღებულ აქტივთან დაკავშირებით გათავისუფლებულია ქონების გადასახადისაგან 2030 წლის პირველ იანვრამდე.

საგადასახადო შეღავათებით სარგებლობისათვის განსაზღვრული პირობაა, რომ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოსა და საქართველოს საწარმოში წილის/აქციების 100 პროცენტს ერთი და იგივე ფიზიკური პირი (პირთა ჯგუფი) ფლობდეს; ხდება ისეთი აქტივის

გადაცემა, რომელიც შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებულ უცხოურ საწარმოს საკუთრებაში აქვს ამ ცვლილების ამოქმედების დღისათვის.

როგორც განმარტებით ბარათშია აღნიშნული, საქართველოში ინვესტიციის დაბანდება ხშირად ხორციელდება შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორში) რეგისტრირებული უცხოური საწარმოების მიერ, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ შვილობილი საწარმოების მეშვეობით, რაც მოიცავს გადასახადისაგან თავის არიდების რისკს და ხელს უშლის ეფექტურ საგადასახადო ადმინისტრირებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, გადასახადისაგან თავის არიდების პრევენციის, საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და გადასახადის ადმინისტრირების გამარტივებისათვის მნიშვნელოვანია, ხელი შეეწყოს შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული კომპანიებიდან აქტივების საქართველოში გადმოტანის პროცესს. ამასთანავე, ე.წ. „ოფშორული კომპანიის“ მიერ ყველა აქტივის საქართველოში გადმოტანის პროცესი შესაძლებელია შეაფერხოს იმ საგადასახადო ვალდებულებებმა, რომელიც ამ აქტივების გადაცემისას წარმოიშობა. კანონპროექტის მიზანია, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოდან აქტივების საქართველოში გადმოტანის პროცესის წახალისება, ამ ოპერაციებზე დროებითი საგადასახადო შეღავათების დადგენის გზით.

ცვლილებები ასევე ითვალისწინებს ფიზიკური პირებისათვის აღიარებული, 2021 წლის პირველ იანვრამდე წარმოშობილი და ჩამოწერის მომენტისათვის არსებული საგადასახადო დავალიანების და მასზე დარიცხული საურავის ჩამოწერას. განმარტებითი ბარათის თანახმად, 2021 წლის პირველ იანვრამდე დარიცხული საგადასახადო დავალიანება ჩამოეწერებათ ფიზიკურ პირებს, რომლებიც საგადასახადო დავალიანების გამო პრაქტიკულად ვეღარ საქმიანობენ, რადგან მათ მიმართ მიმდინარეობს საგადასახადო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო ვალდებულების უზრუნველყოფის

ლონისძიებები. წლების განმავლობაში დაგროვილი საგადასახადო დავალიანების ჩამოწერით მოხდება ფიზიკური პირების ხელშეწყობა და სტიმულირება. მათ მიეცემათ შესაძლებლობა, საგადასახადო ვალდებულების გარეშე განაახლონ თავიანთი საქმიანობა.

საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც სერიოზული პოლიტიკური და ეკონომიკური რისკების შემცველია, არ შეიძლება მიღებულ იქნეს დაჩქარებული წესით, განხილვისათვის სათანადო დროის დათმობისა და საზოგადოების ჩართულობის ყოველგვარი უზრუნველყოფის გარეშე. შესაბამისად, ის ფორმა, როგორც და როდესაც იქნა განხილული და მიღებული აღნიშნული კანონი, მიუღებელი და დაუშვებელია.

სამართლიან კრიტიკას იმსახურებს ასევე კანონის შინაარსი. ცვლილებებით იქმნება გაუმართლებელი არათანაბარი, დისკრიმინაციული გარემო. ერთი მხრივ, შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული უცხოური საწარმოს ყველა აქტივზე საკუთრების უფლების საქართველოს საწარმოსათვის გადაცემის შემთხვევაში საგადასახადო შეღავათები წესდება და შესაბამისი ოპერაციები გათავისუფლდება მოგების, საშემოსავლო და ქონების გადასახადისაგან, ასევე, ამ ოპერაციის ფარგლებში, აქტივების/საქონლის საქართველოში შემოტანა/იმპორტი გათავისუფლდება იმპორტის გადასახადისაგან. მეორე მხრივ კი, საქართველოს ეკონომიკაში შესაბამისი ინვესტიციების განხორციელებით დაინტერესებულ ინვესტორზე, რომელსაც შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში (ოფშორი) არ აქვს საწარმო და ვერ ექცევა ამ შეღავათებით მოსარგებლეთა რიცხვში, ვრცელდება არსებული საგადასახადო რეჟიმი. ამგვარი დისკრიმინაციული გარემოს არსებობა გაუმართლებელი და დაუსაბუთებელია.

ამასთან, ცვლილებები დისკრიმინაციულ დამოკიდებულებას აწესებს არა მხოლოდ უცხოელ ინვესტორებთან მიმართებით, არამედ იმ ადგილობრივი ინვესტორების მიერ განხორციელებულ ინვესტიციებთან დაკავშირებითაც,

რომლებზეც საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 146-ე ნაწილით გათვალისწინებული ახალი საშეღავათო რეჟიმი არ გავრცელდება.

კანონის მიღების ფორმისა და მისი შინაარსის გათვალისწინებით, წარმოდგენილმა ცვლილებებმა დარგის არაერთი ექსპერტისა თუ სპეციალისტის სამართლიანი კრიტიკა დაიმსახურა.

მნიშვნელოვანია, რომ არ შეილახოს საქართველოს საერთაშორისო საინვესტიციო რეპუტაცია და არ შეიქმნას ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით არსებული კანონმდებლობის გვერდის ავლის რისკი.

დარგის არაერთი ექსპერტის მოსაზრებით, იმის გათვალისწინებით, რომ წარმოდგენილი ცვლილებებიდან გამომდინარე, ფაქტობრივად, არ აქვს მნიშვნელობა ფულისა და აქტივების წარმომავლობას, შესაძლოა, ამ საკანონმდებლო ცვლილებებით შესაძლებელი გახდეს სხვადასხვა ქვეყნიდან, მათ შორის, რუსეთის ფედერაციიდან ოფშორებში გატანილი „შავი ფულისა“ და აქტივების საქართველოში გადმოტანა, რაც მნიშვნელოვანი რისკების შემცველია და დააზიანებს და გააუარესებს ქვეყნის საინვესტიციო გარემოს. ასევე, როგორც არაერთი სპეციალისტი მიუთითებს, ცვლილებები შესაძლოა იქცეს რუსეთის ფედერაციისათვის დაწესებული სანქციების გვერდის ავლის საშუალებად.

დარგის ექსპერტთა მოსაზრებით, აღნიშნული ცვლილებები ეწინააღმდეგება ევროკავშირში ჩვენი ქვეყნის გაწევრიანებას, რამეთუ გამჭვირვალობა და შავი ფულის გათეთრების წინააღმდეგ ბრძოლა ევროკავშირში ბიზნესის წარმოების სავალდებულო მოთხოვნაა, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებები კი საპირისპიროს დამკვიდრებით ქმნის ქვეყნის ინტერესების მნიშვნელოვნად დაზიანების რისკს.

აღსანიშნავია, რომ არ იქნა წარმოდგენილი სათანადო ფინანსური დასაბუთება, თუნდაც ის, თუ რა ფინანსურ სარგებელს მოიტანს პარლამენტის მიერ მიღებული ცვლილებები, რა რისკებს შეიცავს და რა ეკონომიკური ეფექტი ექნება ქვეყნისათვის პარლამენტის მიერ მიღებულ ამ ცვლილებებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაჩქარებული წესით მიღებული ეს ცვლილებები, რომლებიც სათანადო ეკონომიკური თუ პოლიტიკური ანალიზის გარეშე იქნა პარლამენტის მიერ მიღებული, გაუმართლებელია, შეიცავს დისკრიმინაციული ხასიათის დებულებებს, შესაბამისად, ვერ იქნება მხარდაჭერილი და გაზიარებული. ხოლო საკანონმდებლო ცვლილებების იმ ნაწილს, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირებისათვის აღიარებულ, 2021 წლის პირველ იანვრამდე წარმოშობილ და ჩამოწერის მომენტისათვის არსებულ საგადასახადო დავალიანებას და მასზე დარიცხული საურავის ჩამოწერას, ვიზიარებთ და ასახული იქნება წარმოდგენილ კანონპროექტში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, გთავაზობთ, საქართველოს საგადასახადო კოდექსში, ერთი მხრივ, უცვლელი დარჩეს საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლის 37-ე ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის პარლამენტის მიერ მიღებული რედაქცია (რომელიც ეხება ფიზიკურ პირთა საგადასახადო ამნისტიას), ხოლო ამავე მუხლის 146-ე ნაწილის დამატება ამოღებულ იქნეს.



სალომე ზურაბიშვილი